საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/19

ქ. ბათუმი 07 მარტი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 25 თებერვლის N01-10/16 ბრძანებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2022 წლის 02 მარტის N219410 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 25 თებერვლის N01-10/16 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგად ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

   ა) თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) ჯილდა აბაშიძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, კომისიის მდივანი;
   გ) ზვიად ბერიძე - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი, კომისიის წევრი;
   დ) მამუკა გოგელია - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
   ე) მარიამ მამულაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით კომისიის სხდომა გაიმართოს 2022 წლის 09 მარტს, 11:00 სთ-ზე (მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, კორპუსი N6, III სართული; აუდიტორია N 306).
3. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ფორმატის (პირისპირ ან Zoom პლატფორმის მეშვეობით) შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.
4. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**